შ.პ.ს. ლოგისტიკ სერვისი
Logistic Services LTD.

# შპს ლოგისტიკსერვისი

# **2023** წლის ფინანსური ანგარიშგება

***(31** დეკემბრის მდგომარეობით**)***

საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12ა
380160, **Al. Kazbegi Ave. 12a, Tbilisi, Georgia** ს/კ 232001311
**Tel / Fax:** (995 32) 2–31-31-90 **E-mail** lananl@yahoo.com

# სარჩევი


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ..... 1
მოგება - ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება ..... 2
ფულადი ნაკადების ანგარიშგება ..... 3
ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები ..... 4
1. ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა ..... 4
2. შედგენის საფუძველი ..... 4
3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა ..... 5
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები ..... 7
5. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები ..... 9
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ..... 9
7. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან ..... 9
8. მომსახურების თვითღირებულება ..... 10
9. ადმინისტრაციული ხარჯები ..... 10

# ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| | შენიშვნა | 31 დეკემბერი, 2023 წელი | 31 დეკემბერი, 2022 წელი |
|---|---|---|---|
| **გრძელვადიანი აქტივები** | | | |
| ძირითადი საშუალებები | | 4,661 | 5,303 |
| არამატერიალური აქტივები | | | |
| | | 4,661 | 5,303 |
| **მიმდინარე აქტივები** | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები | 5 | 211,663 | 126,724 |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები | 6 | 187,148 | 205,633 |
| | | 398,811 | 332,357 |
| **სულ აქტივები** | | 403,472 | 337,660 |
| **მიმდინარე ვალდებულებები** | | | |
| მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები | | 107,730 | 112,205 |
| მიღებული ავანსები | | 178,235 | 69,856 |
| ბიუჯეტთან საგადასახადო ვალდებულებები | | 19,257 | 4,725 |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | | 21,914 | 8,755 |
| სხვა მიმდინარე ვალდებულებები | | 13,493 | 10,116 |
| | | 340,629 | 205,657 |
| **საკუთარი კაპიტალი** | | | |
| საწესდებო კაპიტალი | | 2,000 | 2,000 |
| გაუნაწილებელი მოგება | | 60,843 | 130,003 |
| | | 62,843 | 132,003 |
| **სულ გრძელვადიანი ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი** | | 403,472 | 337,660 |

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება (შესადარისი ინფორმაციით) დამტკიცებულია დირექტორთა საბჭოს მიერ და ხელმოწერილია 2024 წლის 4 დეკემბერს

**შპს ლოგისტიკსერვისი**
**დირექტორი ოლეგ კილაძე**

# მოგება - ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

| | შენიშვნა | 31 დეკემბერი, 2023 წელი | 31 დეკემბერი, 2022 წელი |
|---|---|---|---|
| შემოსავალი მომსახურების გაწევიდან | 7 | 7,441,995 | 10,518,745 |
| მომსახურების თვითღირებულება | 8 | (6,411,742) | (9,721,990) |
| **საერთო მოგება** | | 1,030,253 | 796,755 |
| **საოპერაციო ხარჯები** | | | |
| დასაქმებულთა ანაზღაურება | | (948,221) | (687,496) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | | (1,242) | (1,400) |
| სხვა საოპერაციო ხარჯი | 9 | (51,786) | (44,209) |
| | | (1,001,249) | (733,105) |
| **საოპერაციო მოგება** | | 29,004 | 63,650 |
| **არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)** | | | |
| საპროცენტო შემოსავალი | | | |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან: | | (24,342) | (60,905) |
| სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი) | | | |
| **მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე** | | 4,662 | 2,745 |
| მოგების გადასახადი | | (11,073) | (13,235) |
| **მოგება/(ზარალი)** | | (6,411) | (10,490) |
| **გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისისთვის** | | 130,003 | 215,493 |
| მიმდინარე პერიოდის მოგება/(ზარალი) | | (6,411) | (10,490) |
| გამოცხადებული დივიდენდები | | (62,749) | (75,000) |
| წინა პერიოდის შეცდომის გასწორება | | - | |
| სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება | | - | - |
| **გაუნაწილებელი მოგება წლის დასასრულისთვის** | | **60,843** | **130,003** |

თანდართული შენიშვნები 4-10 გვერდებზე წარმოადგენს წინამებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

# ფულადი ნაკადების ანგარიშგება

| | შენიშვნა | 31 დეკემბერი, 2023 წელი | 31 დეკემბერი, 2022 წელი |
|---|---|---|---|
| **ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | | |
| რეალიზაცია | | 7,871,140 | 10,654,744 |
| მიღებული ავანსები | | | |
| საპროცენტო შემოსავალი | | | |
| **სულ მიღებული ფულადი ნაკადები** | | **7,871,140** | **10,654,744** |
| **გაცემული თანხები:** | | | |
| მომწოდებლებთან გადახდილი თანხები | | 6,557,347 | 9,526,655 |
| სახელფასო ხარჯები | | 751,283 | 547,091 |
| საგადასახადო ხარჯები | | 345,629 | 114,508 |
| სხვა საოპერაციო ხარჯები | | 50,846 | 242,328 |
| **სულ გაცემული თანხები** | | **7,705,105** | **10,430,582** |
| **წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან** | | **166,035** | **224,162** |
| ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან: | | | |
| ძირითადი საშუალებების შეძენა | | | - |
| კაპიტალური ხარჯები | | - | - |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვა | | | - |
| **წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | **-** | **-** |
| ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან: | | | |
| სესხის მიღება | | - | - |
| სესხის ძირის დაფარვა | | - | - |
| სესხის პროცენტის დაფარვა | | - | - |
| დივიდენდების გაცემა | | (59,612) | (71,250) |
| ცვლილება საკუთარ კაპიტალში | | - | - |
| **წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან** | | **(59,612)** | **(71,250)** |
| წმინდა ფულადი ნაკადები | | **106,423** | **152912** |
| ვალუტის გაცვლითი კურსის ეფექტი | | (21,484) | (52,297) |
| **ფულადი ნაკადები პერიოდის დასაწყისში** | 5 | **126,724** | **26,109** |
| **ფული პერიოდის ბოლოს** | 5 | **211,663** | **126,724** |

თანდართული შენიშვნები 4-10 გვერდებზე წარმოადგენს წინამებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

# ფინანსური ანგარიშგების თანდართული შენიშვნები

## 1. ძირითადი ინფორმაცია და საქმიანობა

შპს ლოგისტიკსერვისი-ს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს-ის) შესაბამისად 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

შპს ლოგისტიკსერვისი დაარსდა საქართველო/თერჯოლა, 2003 წლის 30 ივნისი. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 232001311

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა :
დირექტორი – ოლეგ კილაძე საქართველო

კომპანიის ძირითად საქმიანობას გახსნის დღიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით წარმოადგენს სატრანსპორტო – საექსპედიტორო მომსახურება (სარკინიგზო გადაზიდვები). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ყაზბეგის 12

## 2. შედგენის საფუძველი

**2.1** განცხადება შესაბამისობის თაობაზე

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს-ის) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს (მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს) და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

**2.2** გაანგარიშების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

**2.3** საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ

მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რადგან ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ასეთი წარდგენა არის უფრო გამოსადეგი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის.

## 3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

### 3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში ტრანზაქციები - ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში გადაიყვანება შესაბამის საოპერაციო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. საბალანსო ანგარიშგების თარიღისთვის, ფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული კურსით, რომელიც 2023 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.6894 ლარს (2022 წლის 31 დეკემბერს: ერთი ამერიკული დოლარი 2.7020 ლარს). არაფულადი ერთეულები არაა გადაანგარიშებული პერიოდის ბოლო კურსით და მისი აღრიცხვა ხდება ისტორიული ღირებულების საფუძველზე (აღირიცხება ტრანზაქციის დღეს არსებული კურსით).

საკურსო სხვაობა გამოწვეული ვალუტის გადაანგარიშებით ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

### 3.2 ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

### 3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, გამოუქვითავი გადასახადებისა და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად.

**3.4** არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ლიცენზიებზე და პროგრამულ უზრუნველყოფაზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის გამოყენებით.

**3.5** სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები გამოხატულია რეალიზაციის თანხით, კომპანიას არ გააჩნია საეჭვო ვალები. საეჭვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

**3.6** მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

**3.7** სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

**3.8** გადასახადები

მოგების გადასახადში განხორციელდა ცვლილებები, რომლებიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის აღარ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის მოგებაში ან ზარალში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

**3.9** კაპიტალი

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება, როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

**3.10** შემოსავლების აღიარება

შემოსავლები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

**3.11** ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, როდესაც მცირდება აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

## 4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

წინამდებარე ანგარიშგების "მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთასორისო სტანდარტების" შესაბამისად მომზადებისთვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომელიც გავლენას ახდენს წარმოდგენილ აქტივებსა და პასივებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის, აგრეთვე შემოსავლებსა და ხარჯებზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში.

**4.1** სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა ნიშანი, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება შემცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება, როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი.

**4.2** ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა და შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

**4.3** საგადასახადო კანონმდებლობა

მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

## 5. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

| | 31 დეკემბერი 2023 წელი | 31 დეკემბერი 2022 წელი |
|---|---|---|
| ფული სალაროში | | |
| საბანკო ანგარიშები | 211,663 | 126,724 |
| | **211,663** | **126,724** |

## 6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

| | 31 დეკემბერი 2023 წელი | 31 დეკემბერი 2022 წელი |
|---|---|---|
| მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან | 114,427 | 160,750 |
| მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ | 47 | 372 |
| მოთხოვნები ხელმმძღვ. და სამეთვ.ორგ.წევრ.მიმართ | 4 | 4 |
| მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები | 72,670 | 44,507 |
| | **187,148** | **205,633** |

## 7. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

| | 31 დეკემბერი 2023 წელი | 31 დეკემბერი 2022 წელი |
|---|---|---|
| გაწეული მომსახურებიდან (საერთაშორისო) | 7,441,995 | 10,518,745 |
| გაწეული მომსახურებიდან (ადგილობრივი) | | |
| სხვა შემოსავლები | - | - |
| | **7,441,995** | **10,518,745** |

## 8. მომსახურების თვითღირებულება

| | 31 დეკემბერი 2023 წელი | 31 დეკემბერი 2022 წელი |
|---|---|---|
| გაწეული მომსახურების თვითღირებულება (საერთაშორისო) | 6,411,742 | 9,721,990 |
| გაწეული მომსახურების თვითღირებულება (ადგილობრივი) | | |
| | 6,411,742 | 9,721,990 |

## 9. ადმინისტრაციული ხარჯები

| | | |
|---|---|---|
| იჯარა | 38,302 | 29,354 |
| მოვლა-შეკეთების ხარჯი | - | |
| კომუნიკაციის ხარჯი | 6,675 | 5,718 |
| კონსულტაცია და პროფესიული მომსახურება | - | - |
| სადაზღვეო ხარჯი | - | - |
| სხვა ხარჯები | 6,809 | 9,137 |
| | 51,786 | 44,209 |